13/05/2026

MES 1 26 0000565318

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა – Zoom-ის გამოყენებით **2026 წლის 29 აპრილს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=89714775905
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:

ელენე კაკაბაძე – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს თავმჯდომარე);
ხათუნა ჩხარტიშვილი – სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);
ნათია ბუთხუზი – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი (საბჭოს მდივანი);
გიორგი ვეკუა – სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);
ანა არუშიძე – სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
ეკატერინე გიგაშვილი – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
გოჩა გოგიტიძე – სსიპ – სასწავლოს უნივერსიტეტის – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი (საბჭოს წევრი);
გოგიტა მშვენიერაძე – ა(ა)იპ – სამშენებლო კოლეჯ „კონტრუქტ2“-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი (საბჭოს წევრი)

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში –ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთევან ჭუჭულაშვილი – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

ლელა კიკნაძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ნია გუგუნავა – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ლონდა მინდიაშვილი – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მათავარი სპეციალისტი;
ნათია მჭედლიძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო ხელაძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მაყვალა დარსანია – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მაია აბდალაძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მარიამ ჩოხელი – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:
შორენა ხუბუნაია
ნინო კახიძე
ხათუნა მაისაია

დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს ნიუ მეჯიქი
დირექტორი – ლევან ტაკიძე
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი – ინგა ლომთათიძე
იურისტი – მარიამ ქებაძე

სსიპ კოლეჯ გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი
დირქტორი - ნოდარ ხარაზიშვილი
ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - თამარ გიორგობიანი

საბჭოს სხდომის დაწყების დრო – 12:05 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განაცხადა, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

1. შპს ნიუ მეჯიქში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განმეორებითი განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, თუ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშრებით. ცენტრს ჰქონდა შუამდგომლობა, თუმცა დაწესებულების წარმომადგენლები აგვიანებდნენ შემოსვლას, ამიტომ საბჭო აღნიშნულ შუამდგომლობას მოგვიანებით განიხილავს.

პირველი საკითხი: შპს ნიუ მეჯიქში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის არსებითი განხილვის დაწყებამდე, სხდომის თავმჯდომარის, ელენე კაკაბაძის ნებართვით, დაწესებულების პოზიცია წარმოადგინეს შპს „ნიუ მეჯიქის“ დირექტორმა, ლევან ტაკიძემ და კოლეჯის იურისტმა, მარიამ ქებაძემ.

კოლეჯის წარმომადგენლებმა ეჭვქვეშ დააყენეს საკითხის განმეორებითი მოსმენის სამართლებრივი საფუძვლიანობა. მათ აღნიშნეს, რომ 2026 წლის 15 აპრილს გამართულ ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე კენჭისყრაზე დადგა ავტორიზაციის გაუქმების საკითხი, რომელმაც ვერ მოაგროვა დებულებით მოთხოვნილი ხმათა უმრავლესობა (3/4), კერძოდ: 2 წევრი იყო მომხრე, ხოლო 4 – წინააღმდეგი.
კოლეჯის წარმომადგენელთა განმარტებით, ადმინისტრაციული სამართლის პრინციპებიდან გამომდინარე, თუ გაუქმების წინადადება ვერ აგროვებს საჭირო ხმებს, სამართლებრივად ითვლება, რომ საბჭომ უარი თქვა გაუქმებაზე, რაც ავტომატურად გულისხმობს სტატუსის შენარჩუნებასა და მონიტორინგის გაგრძელებას. კოლეჯის იურისტმა დამატებით აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, საქმის ხელახალი განხილვისთვის აუცილებელია არსებობდეს ახალი ფაქტობრივი გარემოება. მისი შეფასებით,

ის ფაქტი, რომ მიმდინარე სხდომას ესწრებიან საბჭოს ის წევრები, რომლებიც არ ესწრებოდნენ წინა განხილვას, არ წარმოადგენს განმეორებითი მოსმენის ლეგიტიმურ სამართლებრივ საფუძველს.
საბჭოს თავმჯდომარე, ელენე კაკაბაძემ აღნიშნა, რომ წინა სხდომაზე მოხდა ტექნიკური ხარვეზი ხმათა დათვლისა და კვალიფიციური უმრავლესობის განსაზღვრის პროცესში. ვინაიდან ვერც ავტორიზაციის გაუქმების და ვერც წარმოების დასრულების საკითხზე ვერ იქნა მიღებული სამართლებრივად გამართული გადაწყვეტილება, ცენტრმა მიიღო საკითხის ხელახალი განხილვის გადაწყვეტილება. თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა, რომ განმეორებითი განხილვა აუცილებელია იმ საბჭოს წევრებისთვისაც, რომლებიც წინა სხდომას არ ესწრებოდნენ, რათა მათ სრულყოფილად მოისმინონ მტკიცებულებები და ჩამოაყალიბონ პოზიცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, შორენა ხუბუნაია, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 11 თებერვლის 149908 ბრძანების საფუძველზე, ამავე ბრძანებით შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს, დაევალათ მიმდინარე წლის 19 და 20 თებერვალს დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ა.ბ) კომპონენტის, გ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის გ.ა) კომპონენტის, დ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის დ.ა) და დ.ბ) კომპონენტების, ე) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ე.ა), ე.ბ) და ე.გ) კომპონენტების, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) და ბ.დ) კომპონენტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით არაგეგმიური ვიზიტის განხორციელება მისამართზე, ქ. ბათუმი ივ. ჯავახიშვილის ქ. N3ა, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში – შპს ნიუ მეჯიქი.

შპს ნიუ მეჯიქში ჩანიშნული მონიტორინგის საფუძველი იყო სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილი კოლეჯის თანამშრომელთა კოლექტიურ განცხადება, რომელიც მოიცავდა შემდეგ ძირითად საკითხებს:

საკადრო პოლიტიკა და სამუშაო გარემო (პსდ ავტორიზაციის სტანდარტების 4.1 და 4.2 კომპონენტები): განმცხადებლები მიუთითებდნენ დირექტორის მხრიდან ფსიქოლოგიურ ზეწოლაზე, კადრების ცვლილებასა და არაეთიკურ დამოკიდებულებაზე, რაც აფერხებს თანამშრომელთა მიერ ფუნქციით განსაზღვრული მოვალეობების შესრულებას.
სასწავლო პროცესის მართვა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (პსდ ავტორიზაციის სტანდარტების 2.2 და 2.4 კომპონენტები): განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა „საექთნო განათლების“ პროგრამაზე. საჩივრის მიხედვით, ადგილი აქვს პროგრამის ხელმძღვანელის მხრიდან მასწავლებლებზე ზეწოლას სწავლის შედეგების ფიქტიურად დადასტურების მიზნით და შეფასების ობიექტურობის დარღვევას.
სტუდენტთა ინტერესებისა და კანონიერი უფლებების დაცვა (პსდ ავტორიზაციის სტანდარტების 3.1 კომპონენტი): საჩივარში აღწერილი იყო გარემო, სადაც შესაძლოა ირღვეოდეს სტუდენტის ფუნდამენტური უფლება - მიიღოს ხარისხიანი განათლება.
მატერიალურ-ფინანსური რესურსები (პსდ ავტორიზაციის სტანდარტების 5.1, 5.2 და 5.3 კომპონენტები): საჩივარში ნახსენები იყო სასწავლო მასალების დეფიციტი, კოლეჯის

კუთვნილი ინვენტარის (კომპიუტერული ტექნიკის) გატანა, საქმისწარმოების პროცესის არაჯეროვანი შესრულება და ფინანსური რესურსების სავარაუდო არამიზნობრივი ხარჯვა.
სტრატეგიული დაგეგმვა და მართვა (პსდ ავტორიზაციის სტანდარტის 1.2 კომპონენტი): განმცხადებლები აღნიშნავდნენ, რომ არ ხდება სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და ანგარიშგება, ხოლო კოლეჯის მართვა ეფუძნება მხოლოდ დირექტორის თვითნებურ, სუბიექტურ გადაწყვეტილებებს.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა ცენტრის მიერ ექსპერტთა ჯგუფისათვის მიწოდებული კოლეჯის მოქმედი/ყოფილი თანამშრომლების მიერ ცენტრში წარმოდგენილ კოლექტიურ განცხადებაში მოყვანილი გარემოებები, რაც დეტალურად აისახა მონიტორინგის ვიზიტის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ასევე, შედგა გასაუბრებები პროფესიულ სტუდენტთა ერთ ნაწილთან 2026 წლის 19 და 20 თებერვალს დაწესებულების 5 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 12 ჯგუფიდან, დაწესებულების მიერ დამტკიცებული სასწავლო განრიგის მიხედვით, ადგილზე უნდა ყოფილიყო 10 ჯგუფი, თუმცა სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა მხოლოდ 6 ჯგუფთან. პროგრამების მიხედვით არსებული მდგომარეობის ანალიზი აჩვენებს სტუდენტთა დასწრების დაბალ მაჩვენებელს. კერძოდ, საბაჟო საქმის პროგრამაზე, სადაც 2024 და 2025 წლების მიღების ჯგუფებში ჯამში 41 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი ირიცხება, სხვადასხვა მოდულზე მეცადინეობებს მხოლოდ 1-დან 4-მდე სტუდენტი ესწრებოდა. ანალოგიური და კიდევ უფრო საყურადღებო ვითარება დაფიქსირდა ფარმაციის (სააფთიაქო) პროგრამაზე. 2025 წლის მიღების ჯგუფში 22 სტუდენტიდან მხოლოდ 2 გამოცხადდა, ხოლო 2024 წლის როგორც შემოდგომის, ისე გაზაფხულის მიღების ჯგუფებში, სადაც ჯამში 38 სტუდენტია რეგისტრირებული, მონიტორინგის ორივე დღეს არცერთი სტუდენტი გამოცხადებულა.
სასწავლო პროცესის შეფერხების ყველაზე მკაფიო მაგალითი ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამაზე დაფიქსირდა, სადაც 2024 და 2025 წლის მიღების ჯგუფებში ჩარიცხული 48 აქტიური სტუდენტიდან არცერთი ესწრებოდა 19 და 20 თებერვლისთვის დაგეგმილ მეცადინეობებს. რაც შეეხება საექთნო განათლებისა და აღმზრდელის პროგრამებს, აქ დასწრების შედარებით მაღალი მაჩვენებლები გამოვლინდა. საექთნო საქმეში 27 სტუდენტიდან მაქსიმალური დასწრება 13 პროფესიულ სტუდენტს შეადგენდა, ხოლო აღმზრდელის პროგრამაზე, 2024 წლის მიღების ჯგუფში, 32 სტუდენტიდან ლექციებს მხოლოდ 4-დან 10-მდე პირი ესწრებოდა.
საყურადღებოა ის გარემოება, რომ მიმდინარე წლის 18 თებერვალს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების თაობაზე განცხადება დაწერა სულ 67-მა პროფესიულმა სტუდენტმა, ხოლო 20 თებერვლის მდგომარეობით განმცხადებელთა რიცხვმა 76-ს მიაღწია, მათ შორის – პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის – ბუღალტრული აღრიცხვა – 30 პროფესიული სტუდენტი; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის – ფარმაცია (სააფთიაქო) – 44 პროფესიული სტუდენტი; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – საბაჟო საქმე – 2 პროფესიული სტუდენტი. აღსანიშნავია, ის გარემოება რომ პროფესიული სტუდენტები განცხადებაში იდენტურ ტექსტებს უთითებდნენ, კერძოდ – ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტები განცხადების ტექსტში ძირითადად ასახელებენ „არასასურველ/დაძაბულ სასწავლო გარემოს“, ხოლო ფარმაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტების მიერ ძირითადად დასახელებულია „წამყვანი და ძირითადი პროფესიული მასწავლებლების სამსახურიდან გათავისუფლება“.

საექთნო განათლების პროგრამის ფარგლებში, 2023-2026 წლების სამივე ნაკადიდან გასაუბრებისათვის შერჩეულ იქნა 30 პროფესიული სტუდენტი, რომელთაგან პროცესში მონაწილეობა 17-მა პირმა მიიღო. აღსანიშნავია, რომ გამოუცხადებლობის მიზეზად ნაწილ შემთხვევაში მეცადინეობაზე დაუსწრებლობა, ნაწილობრივ კი პრაქტიკის ობიექტზე ყოფნა

დასახელდა. ამასთანავე, ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა იმ 76 სტუდენტიდან შერჩეულ 22 პირს, რომელთაც მოთხოვნილი ჰქონდათ სტატუსის შეჩერება, თუმცა გასაუბრებაზე მხოლოდ 12 მათგანი გამოცხადდა. აღნიშნული მონაცემების გადამოწმება მოხდა პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან ექსპერტთა თანდასწრებით ჩამოტვირთული ოფიციალური რეესტრის საფუძველზე.

ვიზიტის ფარგლებში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო კოლექტიურ განცხადებაზე ხელმომწერ პირებთან შეხვედრას, რომელსაც ათიდან ცხრა ხელმომწერი დაესწრო. შეხვედრის მსვლელობისას წარმოდგენილ იქნა ელექტრონული მტკიცებულებები, რომლებიც მხარეთა პოზიციების დასასაბუთებლად იქნა გამოყენებული. აღნიშნული დოკუმენტაციის ნამდვილობა და ორიგინალთან შესაბამისობა დადასტურდა დაწესებულების დირექტორის მიერ, რაც ასახულია სათანადო ოქმებსა და აქტებში. აღნიშნული პროცესი ხაზს უსვამს დაწესებულებაში არსებულ დაძაბულ შიდა კომუნიკაციასა და იმ სამართლებრივ დავებს, რომლებიც უშუალო გავლენას ახდენს საგანმანათლებლო გარემოზე.

ექსპერტთა ჯგუფმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ბოლო ოთხი თვის განმავლობაში წარმოებულ მრავალრიცხოვან დისციპლინურ საქმისწარმოებაზე. გამოვლინდა პროცედურული ხარვეზებიც, კერძოდ, დისციპლინური კომისიის მუშაობის წესი დამტკიცდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც კომისიამ პირველ სხდომაზე მისი არარსებობა დააფიქსირა. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები გამოყენებულ იქნა პერსონალის ფართო წრის მიმართ, დაწყებული დირექტორის მოადგილისა და პროგრამის ხელმძღვანელების გათავისუფლებით, დამთავრებული ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის, იურისტისა და მასწავლებლებისათვის სასტიკი საყვედურებისა და შენიშვნების გამოცხადებით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ შიდა კონფლიქტები პირდაპირ აისახება სასწავლო პროცესის ხარისხზე, განსაკუთრებით, ბუღალტრული აღრიცხვისა და ფარმაციის პროგრამების შემთხვევაში, რომლებიც ფაქტობრივად ყურადღების მიღმაა დარჩენილი. საგანმანათლებლო პროცესისთვის განკუთვნილი დრო ხშირად ეთმობა პერსონალს შორის არსებული დავების განხილვას, რის შესახებაც ინფორმირებულნი არიან პროფესიული სტუდენტებიც. გამომდინარე იქიდან, რომ ექსპერტთა ჯგუფის მონიტორინგის საფუძვლად განსაზღვრული იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – საექთნო განათლება, ექსპერტთა ჯგუფი მოკლებული იყო შესაძლებლობას, საფუძვლიანად შეეფასებინა სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სასწავლო პროცესი. სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული საკითხები ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მესამე სტანდარტის ფარგლებში, პროფესიულ სტუდენტთა უფლებების ნაწილში.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერდა კოლეჯის ინფრასტრუქტურა და სასწავლო გარემო, სრულად იქნა შესწავლილი კოლეჯის მიერ ძირითადი და დამხმარე პროცესების დაგეგმვა-ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები.

გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

სტანდარტი IV არ არის დაკმაყოფილებული და შეფასებულია, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან“ რადგან:
ინდიკატორი 4.1.2.3 არ არის დაკმაყოფილებული. პერსონალის კვალიფიკაცია ბიბლიოთეკარის პოზიციის შემთხვევაში, არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.
დარღვეულია დაწესებულების მიერ განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნა ამონარიდი ბიბლიოთეკის სამუშაო და საკვალიფიკაციო მოთხოვნებიდან: პუნქტი V. საკვალიფიკაციო

მოთხოვნები: დასაქმებულს ამ თანამდებობაზე მოეთხოვება: ბიბლიოთეკის კვალიფიკაცია/კომპეტენცია პროცედურების, წიგნის შენახვა.
აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი მოკლებული იყო შესაძლებლობას სტანდარტის კომპონენტთან მიმართებით დაწესებულება შეეფასებინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული "საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-40 მუხლის მე-2 ან მე-3 პუნქტის მოთხოვნათ გათვალისწინებით, შესაბამისად, დაწესებულება შეფასდა ამავე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, როგორ „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან“.

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი I მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, რადგან:
ინდიკატორი 1.2.2.3 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის.

სტანდარტი III მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, რადგან:
ინდიკატორი 3.1.1.1 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა, თუმცა დარღვეულია:
1. პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნები – პირი ვალდებულია ამ მუხლის პირველი-მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ ერთ-ერთ პროგრამაზე ჩარიცხვიდან 3 თვის ვადაში შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებას წარუდგინოს საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი/სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, მასთან გათანაბრებული დოკუმენტი ან განათლების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი, რომელიც აღნიშნულ პირს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საბაზო ზოგადი განათლების სრული ზოგადი განათლების მიღების საფუძველზე გადაეცა,
2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 02/07/2021 N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის და დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 03 თებერვლის N23 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესის" მუხლის მოთხოვნები – გ) საქართველოს მოქალაქეებს და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის. პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 2013 მუხლით გათვალისწინებულ პირებს, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში და რომელთა სრული ზოგადი განათლება აღიარებულ იქნა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

სტანდარტი IV არ არის შესაბამისობაში სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, რადგან:
ინდიკატორი 4.1.2.1 მეტწილადაა დაკმაყოფილებული. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები არ ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დაწესებულების დირექტორის მიერ გამოცემული რიგი საკადრო ბრძანებები არ მოიცავს შესაბამის საფუძვლებს. ასევე, დაწესებულების პროცესების მარეგულირებელი აქტ(ებ)ი შესაბამისობაში უნდა იყოს დაწესებულების სპეციფიკასა და პროცესებთან, არ იყოს ურთიერთგამომრიცხავი და ატარებდეს თანმიმდევრულ ხასიათს.
ინდიკატორი 4.1.2.4 მეტწილადაა დაკმაყოფილებული. დაწესებულებაში არსებული მდგომარეობა არ ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

ინდიკატორი 4.2.1.1 მეტწილადაა დაკმაყოფილებული. პსდ არ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას, ხოლო პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის შედეგები არ არის გაანალიზებული.
ინდიკატორი 4.2.1.2 მეტწილადაა დაკმაყოფილებული. პერსონალის განვითარება არ ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით.

სტანდარტი V
ინდიკატორი 5.2.2.1 მეტწილადაა დაკმაყოფილებული. დაწესებულებაში არ მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი ელექტრონული საქმისწარმოების წესი;
ინდიკატორი 5.2.2.2 მეტწილადაა დაკმაყოფილებული. დაწესებულებაში დანერგილია ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა. თუმცა, პრაქტიკაში არასრულად გამოიყენება;
ინდიკატორი 5.2.2.3 მეტწილადაა დაკმაყოფილებული. დაწესებულება არასრულად უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის შეტანას.

შესაბამისობის გეგმა
დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 17 მარტის N79-82 ბრძანებით დამტკიცებულია შპს – „ნიუ მეჯიქის" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისობის გეგმა. რის მიხედვითაც განსაზღვრულია:
აქტივობა N1 – ინდიკატორი 1.2.2.3 – საქმისწარმოების შიდა რეგულაციის განახლება, სადაც მკაფიოდ გაიწერება წლიური ანგარიშების საჯაროობის უზრუნველყოფის პროცესი, გზები და პასუხისმგებელი პირ(ი)ები, შესრულების პროცესის მონიტორინგის პერიოდულობა;
აქტივობა N2.1 – ინდიკატორი 3.1.1.1 – განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის პროცესის (3 თვიანი ვადა) მონიტორინგის მიზნებისთვის, კოლეჯის შიდა რეგულაციაში (ჩარიცხვის წესი) შევა ცვლილება, კერძოდ საქმისწარმოების სპეციალისტის მიერ დოკუმენტების პირველადი მიღების შემდეგ, მიმღები კომისია (იურისტი) შეისწავლის აპლიკანტთა მიერ წარმოდგენილ განცხადებებს, მოამზადებს და დირექტორს წარუდგენს პროგრამაზე ჩასარიცხ პირთა სიას, შესაბამისი დასაბუთებით, კომისიის გადაწყვეტილება აისახება ოქმში, სადაც მიეთითება განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის 3 (სამი) თვიანი ვადის გასვლის თარიღი;
განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება:
I სტანდარტი
1.2.1.1 – დაწესებულებამ სავალდებულოდ უზრუნველყოს წლიური სამოქმედო გეგმის შუალედური შეფასება (კვარტალური ან წელიწადში არანაკლებ ორჯერ), რაც უზრუნველყოფს პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას, იმის დადგენას, თუ როგორ მიმდინარეობს დაგეგმილი აქტივობების შესრულება, ხოლო გამოწვევების შემთხვევაში, დაწესებულებამ შეძლოს გაუმჯობესების ღონისძიებების განხორციელება.
1.2.1.2 – რეკომენდებულია დაწესებულებამ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით სავალდებულოდ განსაზღვროს გარე პირთა ჩართულობა, იმგვარად, რომ გათვალისწინებული იქნეს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტები და დაინტერესებული მხარეების მოლოდინები.
1.2.2.1 – რეკომენდებულია დაწესებულების ხელმძღვანელმა უზრუნველყოს სამოქმედო (მომავალში ასევე სტრატეგიული) გეგმის შედეგების შეფასებაში დაინტერესებული პირების მონაწილეობა და შედეგების საჯაროობა.
III სტანდარტი
3.1.1.4 – 1. პროფესიული სტუდენტის მომსახურების ხელშეკრულებაში მითითებული იყოს სწავლის საფასურთან დაკავშირებული საშეღავათო პირობები (რა შემთხვევაში აქვს სტუდენტს ისარგებლოს შეღავათით) და მისი გაცემის წესი.

2. დაწესებულებამ პროფესიული სტუდენტის მომსახურების ხელშეკრულების გაფორმება უზრუნველყოს. მხოლოდ პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ ბრძანების ძალაში შესვლის შემდეგ.

IV სტანდარტი

4.2.1.5 რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს და პრაქტიკაში გამოიყენოს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაკმაყოფილების გამჭვირვალე მექანიზმები.

II სტანდარტი

პროფესიულისაგანმანათლებლოპროგრამა–საექთნოგანათლება

2.4.1.1 – რეკომენდებულია, დაწესებულებამ და პროფესიული განათლების მასწავლებლებმა აწარმოონ პროფესიულ სტუდენტთა პორტფოლიო, სადაც განთავსდება მოდული, კალენდარული გეგმა,როფესიულ სტუდენტთა განმავითარებელი შეფასების მტკიცებულებები და სხვა მასალები მასწავლებლის შეხედულებისამებრ, აღნიშნული უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკის შეფასებას და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას, ასევე, პორტფოლიო გამოყენებული იქნება სასწავლო პროცესის მონიტორინგის მიზნებისათვის.

პირველ სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ კოლეჯში დანერგილია სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 10 ნოემბრის N83 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავების, საჯაროობის უზრუნველყოფისა და მონიტორინგის პროცედურებს. დაწესებულება დაგეგმვის პროცესში იყენებს SWOT ანალიზის მეთოდს და ხელმძღვანელობს ორეტაპიანი სისტემით, რაც გულისხმობს გეგმების მომზადებას, დამტკიცებასა და დაინტერესებული მხარეებისთვის გაზიარებას. მნიშვნელოვანია, რომ სტრატეგიული მიზნები ორიენტირებულია ქვეყნისა და რეგიონის პრიორიტეტებზე, ხოლო მათი რაოდენობა შეზღუდულია შვიდი ძირითადი მიმართულებით, რათა შენარჩუნდეს პროცესის ეფექტურობა და მიღწევადობა.

სტრატეგიული დაგეგმარება კოლეჯში თანამონაწილეობითი პროცესია, რაც დასტურდება სხვადასხვა პარტნიორი ორგანიზაციის, მათ შორის „ავერსი-ფარმას“, „გეფას“, ბათუმის სამედიცინო ცენტრისა და სხვა უწყებების წარმომადგენელთა ჩართულობით. მიუხედავად ამისა, ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია, რომ დაწესებულებამ მეთოდოლოგიურ დონეზე სავალდებულოდ განსაზღვროს გარე პირთა მონაწილეობა, რათა კიდევ უფრო მეტად იქნეს გათვალისწინებული თემის მოლოდინები. ასევე, მიზანშეწონილია, წლიური სამოქმედო გეგმის შუალედური, კვარტალური ან ნახევარწლიური შეფასების დანერგვა, რაც დაწესებულებას საშუალებას მისცემს დროულად მოახდინოს პრევენციული რეაგირება გამოწვევებზე და უზრუნველყოს დაგეგმილი აქტივობების შეუფერხებელი შესრულება.

დოკუმენტური ანალიზით დასტურდება ლოგიკური ბმა კოლეჯის მისიასა და სტრატეგიულ მიზნებს შორის. კერძოდ, პროგრამების მუდმივი განვითარება, სტუდენტური სერვისების გაუმჯობესება და მართვის პროცესების ოპტიმიზაცია პირდაპირ ეხმიანება დაწესებულების მისწრაფებას, მოამზადოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტები შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით. 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმებში დეტალურადაა გაწერილი განსახორციელებელი აქტივობები, ვადები, პასუხისმგებელი პირები და საჭირო ფინანსური რესურსები, რაც მიუთითებს დაგეგმვის მაღალ კულტურასა და რესურსების მიზნობრივ განაწილებაზე.

მონიტორინგისა და შეფასების სისტემის განხილვისას გამოიკვეთა, რომ კოლეჯი ახორციელებს პერიოდულ ანგარიშგებას, თუმცა 2025 წლის ბოლოს მომხდარმა სტრუქტურულმა ცვლილებებმა განაპირობა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ფაქტობრივი განახლება. ექსპერტებმა დაინახეს დადებითი დინამიკა შეფასების შედეგებზე რეაგირების კუთხით, რაც მაგალითის სახით დადასტურდა საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის

რეკომენდაციების ასახვით შემდგომ სამოქმედო გეგმებში. მიუხედავად ამისა, გამოიკვეთა ხარვეზი სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშების საჯაროობის კუთხით, რადგან აღნიშნული დოკუმენტები არ იყო ხელმისაწვდომი კოლეჯის ვებგვერდზე, რაც გამჭვირვალობის პრინციპის დარღვევად შეფასდა.

აღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებლად, კოლეჯმა წარმოადგინა 2026 წლის 17 მარტის N80 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს საქმისწარმოების შიდა რეგულაციების განახლებასა და ანგარიშების საჯაროობის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვას ერთთვიან ვადაში. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებას გააჩნია ადეკვატური რესურსი ამ პრობლემის მოსაგვარებლად. საბოლოო დასკვნის სახით აღინიშნა, რომ პირველი სტანდარტის 1.2 კომპონენტი მეტწილად შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს.

მესამე სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ კოლეჯში შემუშავებულია პროფესიული სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მეთოდოლოგიური ჩარჩო, რომელიც ეფუძნება დირექტორის სხვადასხვა წლებში გამოცემულ ბრძანებებს. შიდა რეგულაციებით, მათ შორის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესითა და სტუდენტთა ჩარიცხვის პროცედურებით, გარანტირებულია ხარისხიანი განათლების მიღების, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით სარგებლობისა და თვითმმართველობის უფლებები. მიუხედავად დოკუმენტური მოწესრიგებისა, პირადი საქმეების შესწავლისას გამოიკვეთა გარკვეული ხარვეზები, რაც უკავშირდება მე-5 დონის პროგრამებზე ჩარიცხული ზოგიერთი სტუდენტის მიერ სრული ზოგადი ან უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაციის კანონით დადგენილ სამთვიან ვადაში წარმოდგენას. ასევე, დაფიქსირდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული განათლების აღიარების პროცედურული კონტროლის გაძლიერების საჭიროება, რის გამოსასწორებლადაც დაწესებულებამ უკვე შეიმუშავა შესაბამისობის გეგმა, რომელიც „ინფორმირებული თანხმობის ფურცლის“ დანერგვასა და მონიტორინგის გამკაცრებას ითვალისწინებს.

სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტები პრაქტიკულად იყენებენ თავიანთ უფლებებს, მაგალითად, მობილობის ან სტატუსის შეჩერების მექანიზმებს, მათი მხრიდან ამ გადაწყვეტილებების სამართლებრივი და ადმინისტრაციული შედეგების გააზრება არასრულია. კერძოდ, „ფარმაციისა“ და „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამების სტუდენტების მიერ სტატუსის მასობრივი შეჩერების მოთხოვნისას გამოიკვეთა, რომ მათ არ ჰქონდათ ზუსტი ინფორმაცია ადმინისტრაციული ვადებისა და მასწავლებლების სტატუსის შესახებ. ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია საინფორმაციო გზამკვლევების მომზადებისა და ადმინისტრაციულ საკითხებზე შეხვედრების ციკლის ჩატარების შესახებ, რათა სტუდენტებისთვის პროცესუალური საკითხები უფრო აღქმადი და გასაგები გახდეს.

შეფასების სისტემისა და აპელაციის მექანიზმების ნაწილში დაწესებულება სრულად აკმაყოფილებს სტანდარტს, რადგან სტუდენტები წინასწარ არიან ინფორმირებულნი გამოცდების თარიღებისა და ფორმატის შესახებ. კომუნიკაცია პროგრამის ხელმძღვანელებთან და მასწავლებლებთან შეფასების შედეგების თაობაზე ეფექტურია, ხოლო სტუდენტები ადასტურებენ, რომ ფლობენ ინფორმაციას გასაჩივრების უფლების შესახებ, თუმცა პრაქტიკაში პრეტენზიების წარდგენის საჭიროება ამ ეტაპზე არ დამდგარა. ასევე წარმატებით ხორციელდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება, რაც დადასტურდა კონკრეტული სტუდენტის მაგალითზე, სადაც კომისიურმა მუშაობამ და სტუდენტის უშუალო ჩართულობამ უზრუნველყო სასწავლო პროცესის მის საჭიროებებზე მორგება.

სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ანალიზმა აჩვენა, რომ დოკუმენტები სტანდარტულია და იცავს მხარეთა ინტერესებს, თუმცა ექსპერტებმა ყურადღება გაამახვილეს რამდენიმე მნიშვნელოვან გარემოებაზე. რეკომენდებულია, რომ ხელშეკრულებებში მკაფიოდ გაიწეროს სწავლის საფასურთან დაკავშირებული საშეღავათო პირობები და მათი გაცემის კრიტერიუმები, რათა პროცესი იყოს მეტად გამჭვირვალე. გარდა ამისა, ექსპერტთა დასკვნით, დაწესებულებამ ხელშეკრულების გაფორმება უნდა უზრუნველყოს მხოლოდ ჩარიცხვის

შესახებ ბრძანების ძალაში შესვლის შემდეგ, რათა თავიდან იქნას აცილებული პერსონალური მონაცემების დამუშავება იმ პირებთან მიმართებით, რომელთაც ჯერ არ აქვთ მინიჭებული სტუდენტის სტატუსი.
საბოლოო ჯამში, მესამე სტანდარტის 3.1 კომპონენტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან.
მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ კოლეჯის ორგანიზაციული სტრუქტურა და საშტატო განრიგი, რომელიც სულ 24 ერთეულს მოიცავს, ზოგადად უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები მკაფიოდ არის გაწერილი კოლეჯის დებულებაში, ხოლო პერსონალთან გაფორმებული თანამდებობრივი ინსტრუქციები შესაბამისობაშია მათ ფაქტობრივ საქმიანობასთან. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ამოცანები ჩამოყალიბებულია ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის პრინციპით, რაც ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას. პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუებით დადასტურდა, რომ თანამშრომლები კარგად იცნობენ საკუთარ უფლება-მოვალეობებსა და დაქვემდებარების სისტემას.
მიუხედავად დოკუმენტური მოწესრიგებისა, პერსონალის მართვის პოლიტიკის ნაწილში გამოიკვეთა სისტემური და შინაარსობრივი შეუსაბამობები. ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკის დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია ნაწილობრივ არ შეესაბამება კოლეჯის სპეციფიკას, კერძოდ, მასში მითითებულია მუნიციპალიტეტები, სადაც დაწესებულება ფაქტობრივად არ ფუნქციონირებს. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა საკადრო საქმისწარმოების ხარვეზებზე, მათ შორის, შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების თარიღების აცდენაზე და კანონით სავალდებულო ნასამართლობის შესახებ ცნობების ვადაგასულობაზე. რიგ შემთხვევებში, დირექტორის მიერ გამოცემული საკადრო ბრძანებები არ მოიცავს გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივ საფუძვლებს, რაც ეწინააღმდეგება შრომის კოდექსის მოთხოვნებს. აღნიშნული ხარვეზების გამოსასწორებლად კოლეჯმა წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელიც ბრძანებების სტანდარტიზაციასა და რეგულაციების რევიზიას ითვალისწინებს.
შეუსაბამობა დაფიქსირდა პერსონალის კვალიფიკაციის კომპონენტში, კერძოდ, ბიბლიოთეკარის პოზიციასთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ დასაქმებული პირი არის სტუდენტი და არ ფლობს დაწესებულების მიერვე დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც ბიბლიოთეკის პროცედურების ცოდნასა და შესაბამის გამოცდილებას გულისხმობს. ვინაიდან დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში არ იყო ასახული ამ კონკრეტული ხარვეზის აღმოფხვრის გზები და პირად საქმეში არ მოიპოვებოდა კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა, როგორც სტანდარტის მოთხოვნებთან შეუსაბამო. ასევე აღინიშნა, რომ ორგანიზაციული კულტურა ამ ეტაპზე ვერ ფასდება გუნდური მუშაობის პრინციპებზე დაფუძნებულად, არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და შიდა რეგულაციების არათანმიმდევრულობის გამო.
პერსონალის განვითარების კუთხით, კოლეჯს ფორმალურად გაწერილი აქვს შეფასებისა და საჭიროებათა კვლევის მექანიზმები, თუმცა პრაქტიკაში საქმიანობის შეფასება ჯერ არ განხორციელებულა. წარმოდგენილი კვლევის მონაცემები მხოლოდ საწყის სტატისტიკას ასახავს და აკლია სიღრმისეული ანალიზი. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ პერსონალის განვითარების გეგმა მწირია და ძირითადად მხოლოდ პროფესიული განათლების მასწავლებლების ტრენინგს მოიცავს, ხოლო ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საჭიროებები უგულებელყოფილია. ამასთან, კოლეჯში ვაკანტურია ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერის პოზიცია, რაც აფერხებს პერსონალის განვითარების პოლიტიკის ეფექტურ იმპლემენტაციას.
აღინიშნა, დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან, დასაქმებულები გამოხატავენ კმაყოფილებას გაწეული მხარდაჭერისა და ინსტრუქტაჟის მიმართ. დაწესებულებაში წახალისებულია განვითარებასთან დაკავშირებული

ინდივიდუალური ინიციატივები, თუმცა ექსპერტთა რეკომენდაციაა, რომ შეიქმნას ამ პროცესის უფრო გამჭვირვალე და ფორმალიზებული მექანიზმები. 4.1 კომპონენტი შეფასდა, როგორც „არ შეესაბამება“, ხოლო 4.2 კომპონენტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

მეხუთე სტანდარტის ფარგლებში განხილულ იქნა მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები, სადაც აღინიშნა, რომ კოლეჯი ფლობს სრულფასოვან ინფრასტრუქტურას ქალაქ ბათუმში, ჯავახიშვილის ქუჩაზე. დაწესებულება განკარგავს 743 კვადრატულ მეტრ ფართობს გრძელვადიანი იჯარის ხელშეკრულებით, რომელიც ძალაშია 2040 წლამდე, რაც უზრუნველყოფს სტაბილურ გარემოს ავტორიზაციის მთელი ვადით. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა თეორიული სწავლების აუდიტორიები, კომპიუტერული ლაბორატორიები, ფარმაციის სპეციალიზებული სივრცე, ბიბლიოთეკა და სპორტული მოედანი. დადასტურდა, რომ სასწავლო და ადმინისტრაციული სივრცეები აღჭურვილია ყველა საჭირო ტექნიკითა და მატერიალური რესურსით, რაც აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტური განხორციელებისთვის.

მატერიალური რესურსების მართვის პროცესი რეგულირდება 2022 წელს დამტკიცებული წესით, რომელსაც ზედამხედველობას უწევს მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის სპეციალისტი ფინანსურ მენეჯერთან ერთად. დაწესებულებაში ყოველწლიურად ტარდება ინვენტარიზაცია და მოქმედებს სასწავლო მასალებითა თუ ნედლეულით შეუფერხებელი მომარაგების სისტემა. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, რომლებიც 2026 წლის იანვარში განახლდა, ითვალისწინებს რესურსების რეგულარულ შეფასებას პერსონალისა და სტუდენტების გამოკითხვების საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ ახალი მექანიზმებით ანგარიშგება ჯერ არ დაწყებულა, არსებული პრაქტიკა და დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ კოლეჯი ადეკვატურად რეაგირებს ინვენტარისა და მომსახურების შესყიდვის მოთხოვნებზე.

ინფრასტრუქტურულ ნაწილში ხაზგასმით აღინიშნა სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების მაღალი სტანდარტი და ცენტრალური ელექტრონული გათბობის სისტემის გამართული მუშაობა. შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული და შშმ პირებზე ადაპტირებული სანიტარიული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, ჰიგიენური საშუალებებითა და უწყვეტი განათებით. ყველა სასწავლო სივრცესა და ბიბლიოთეკას გააჩნია როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა. გარდა ამისა, დაწესებულებაში დანერგილია შრომის უსაფრთხოების მექანიზმები, რაც მოიცავს რისკების შეფასების წესს, პერსონალის ინსტრუქტაჟსა და უსაფრთხოების სპეციალისტის მუდმივ ზედამხედველობას.

უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის კუთხით, კოლეჯი სრულად აკმაყოფილებს კანონმდებლობის მოთხოვნებს. დაწესებულებას გააჩნია უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული დადებითი დასკვნები შენობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების შესახებ. ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, სადაც კვალიფიციური ექთანი უზრუნველყოფს პირველად გადაუდებელ დახმარებას და ინციდენტების აღრიცხვას. მთელ პერიმეტრზე წესრიგის დაცვა გარანტირებულია ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემითა და დაცვის პერსონალის მუშაობით. ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო შეფასებით, მატერიალური და საინფორმაციო რესურსების კომპონენტი სრულად შეესაბამება დადგენილ სტანდარტს და ქმნის საიმედო ბაზას პროფესიული განათლების მისაღებად.

საინფორმაციო რესურსების მართვის მხრივ, აღსანიშნავია, რომ დაწესებულების საინფორმაციო ტექნოლოგიების გარემო სრულად პასუხობს არსებულ საჭიროებებს. კომპიუტერული ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა და ადმინისტრაციული სივრცეები აღჭურვილია ქსელში ჩართული ტექნიკით, ხოლო ინტერნეტთან წვდომა უზრუნველყოფილია როგორც კაბელური, ისე უსადენო (Wi-Fi) კავშირით. მართვის პროცესი ეფუძნება 2023 წელს დამტკიცებულ პოლიტიკას, რომელსაც კვალიფიციური IT სპეციალისტი უძღვება.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის მხრივ, კოლეჯს შემუშავებული აქვს სპეციალური მექანიზმები და გაფორმებული აქვს ხელშეკრულება საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციასთან საკონსულტაციო მომსახურებაზე. პერსონალისა და სტუდენტებისგან მოპოვებულია წერილობითი თანხმობები მონაცემთა დამუშავებაზე, ხოლო

ვიდეომონიტორინგი ხორციელდება 2025 წელს დამტკიცებული წესის შესაბამისად. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა მუდმივად ხელმისაწვდომია მომხმარებლებისთვის, ხოლო შიდა და გარე კომუნიკაციისთვის გამოიყენება ერთიანი ელექტრონული სისტემები, მათ შორის ელექტრონული ფოსტა, ვებგვერდი და დოკუმენტბრუნვის სისტემა „eflow“. აღნიშნული რესურსები ქმნის გამჭვირვალე და ეფექტურ გარემოს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული საქმიანობისთვის.

ინდიკატორი 5.2.2.2 მეტწილადაა დაკმაყოფილებული. მართალია, მატერიალური საქმისწარმოება კანონმდებლობის შესაბამისია, თუმცა შიდა რეგულაციები არ მოიცავს ელექტრონული საქმისწარმოების დეტალურ მექანიზმებს. სისტემა „eflow“ პრაქტიკაში არასისტემურად გამოიყენება – რიგი ბრძანებები და კორესპონდენციები მასში აღრიცხული არ არის. ასევე, ხარვეზები დაფიქსირდა პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (EMIS) მონაცემების შეტანისას, კერძოდ, ცალკეული პერსონალის მონაცემები სისტემაში არ იძებნებოდა. ამ პრობლემების მოსაგვარებლად, დირექტორის 2026 წლის 17 მარტის N82 ბრძანებით დამტკიცდა შესაბამისობის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს საქმისწარმოების წესში ცვლილებებს, პერსონალის ტრენინგსა და მონაცემთა ყოველკვირეული შეჯერების მექანიზმის დანერგვას ექვსთვიან ვადაში.

საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით კოლეჯი მიზანმიმართულად და ეფექტურად მუშაობს. ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელები ასრულებენ საინფორმაციო ფუნქციას, ნავიგაცია მარტივია და ინფორმაცია პროგრამების შესახებ ხელმისაწვდომია გონივრულ ვადებში. მიუხედავად იმისა, რომ სწავლება მხოლოდ ქართულ ენაზე მიმდინარეობს, დაწესებულებას გააჩნია ინგლისურენოვანი ვებგვერდიც. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ახლდება ყოველწლიურად და მოიცავს ყველა აუცილებელ დეტალს სწავლის შედეგებისა და დაშვების წინაპირობების შესახებ. ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ კოლეჯი აქტიურად იყენებს სხვადასხვა არხიდან მიღებულ უკუკავშირს საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად, რაც უზრუნველყოფს საზოგადოებისთვის სანდო და უტყუარი ინფორმაციის მიწოდებას.

ფინანსური რესურსების ნაწილში აღინიშნა, რომ შპს „ნიუ მეჯიქის“ კოლეჯი ინარჩუნებს ფინანსურ მდგრადობას, რაც უზრუნველყოფს მისი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შეუფერხებელ იმპლემენტაციას. დაწესებულების შემოსავლების წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო დაფინანსება და პროფესიულ სტუდენტთა თანადაფინანსება, რომელთა პროგნოზირებასა და მართვას წლის დასაწყისში ახორციელებს ფინანსური მენეჯერი. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტთა ჯგუფს არ წარედგინა სამეურნეო წლის ფინანსური ანგარიშგების წერილობითი ანალიზი, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების დაფინანსება დადასტურდა მრავალფეროვანი მტკიცებულებებით, მათ შორის მომსახურების ხელშეკრულებებით, ფინანსური ტრანზაქციებითა და ვებგვერდზე განთავსებული საჯარო მასალებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – საექთნო განათლება

პროგრამა „საექთნო განათლება“ არის მეხუთე დონის, რომელიც სტუდენტებს ანიჭებს უმაღლეს პროფესიულ კვალიფიკაციას საექთნო საქმეში (კოდი 0913). პროგრამა ხორციელდება ქალაქ ბათუმში, ი. ჯავახიშვილის ქუჩის N 3ა-ში მდებარე სასწავლო ბაზაზე, კოოპერაციული სწავლების ფორმატით, რაც გულისხმობს მჭიდრო თანამშრომლობას კლინიკურ პარტნიორებთან. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის განსაზღვრულია 180 კრედიტით (ხანგრძლივობა 30 სასწავლო თვე), ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის – 210 კრედიტით (ხანგრძლივობა 36 სასწავლო თვე). ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების მოთხოვნა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 75 პირის ოდენობით განსაზღვრის შესახებ.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსების სტანდარტთან მიმართებით, დაწესებულება ფლობს სრულყოფილ ინფრასტრუქტურას, რომელიც მოიცავს რამდენიმე ტიპის

სასწავლო გარემოს. კერძოდ, მოწყობილია A ტიპის თეორიული სწავლების აუდიტორიები და B ტიპის კომპიუტერული ლაბორატორიები, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით, საპრეზენტაციო მონიტორებითა და მრავალფუნქციური პრინტერებით. კლინიკური და პრაქტიკული კომპონენტების უზრუნველსაყოფად, კოლეჯს გაფორმებული აქვს გრძელვადიანი თანამშრომლობის ხელშეკრულებები წამყვან სამედიცინო დაწესებულებებთან, როგორიცაა შპს „მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრი“, შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრი“, სს „ევექსის ჰოსპიტლები“ და შპს „ხოზრევანიძის კლინიკა“. აღნიშნული ობიექტები სრულად აკმაყოფილებენ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მზად არიან მიიღონ სტუდენტები იმ გათვლით, რომ ყოველ შვიდ სტუდენტზე უზრუნველყოფილი იყოს ერთი პრაქტიკის ინსტრუქტორი.

პროგრამის მდგრადობას განაპირობებს კვალიფიციური პერსონალი, რომელიც ჯამში 17 მასწავლებლისგან შედგება. მათგან 5 პირი ზოგად მოდულებს უძღვება, ხოლო 12 დარგობრივი მიმართულების სპეციალისტია. მასწავლებელთა დატვირთვა ოპტიმალურია და არ აღემატება კვირაში 40 საათს, ხოლო თითოეულ მოდულს ჰყავს მინიმუმ ორი განმახორციელებელი, რაც სწავლის პროცესის უწყვეტობის გარანტიაა. პროგრამას ხელმძღვანელობს სათანადო გამოცდილების მქონე გუნდი: ხელმძღვანელი, რომელიც 2012 წლიდან მოღვაწეობს საექთნო დარგში და თანახელმძღვანელი, რომელსაც 2015 წლიდან აქვს პედაგოგიური სტაჟი. საგანმანათლებლო რესურსები, მათ შორის ბიბლიოთეკის მატერიალური ფონდი და ელექტრონული ბაზები, სრულად ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, ხოლო გარემო ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის, რასაც ზედამხედველობს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი.

ფინანსური თვალსაზრისით, პროგრამის მდგრადობა უზრუნველყოფილია სახელმწიფო ვაუჩერული დაფინანსებისა და სტუდენტთა თანადაფინანსების კომბინაციით. ბიუჯეტის ანალიზი აჩვენებს, რომ რენტაბელობის ზღვარი 15 სტუდენტზე გადის, რაც იძლევა საოპერაციო და განვითარების ხარჯების სრულად დაფარვის შესაძლებლობას. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს წინასწარ გაწერილი გეგმების მიხედვით, სადაც მოდულები ლოგიკური თანმიმდევრობითაა დალაგებული. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ დაწესებულებამ და მასწავლებლებმა დანერგონ სტუდენტთა პორტფოლიოების წარმოება, რაც ხელს შეუწყობს განვითარების დინამიკის უკეთეს მონიტორინგს და სასწავლო პროცესის ხარისხის მუდმივ კონტროლს.

სასწავლო პროცესში გამოიყენება სწავლების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები, რაც პერიოდულად ახლდება მასწავლებელთა ტრენინგების საფუძველზე. უსაფრთხოების ნორმები დაცულია როგორც კოლეჯის ბაზაზე, ისე კლინიკურ ობიექტებზე, სადაც სტუდენტები გადიან სპეციალურ ინსტრუქტაჟს. შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობისა და სანდოობის პრინციპებს, მოიცავს ინსტრუმენტების წინასწარ ვალიდაციას და სისტემის ვერიფიკაციას. სტუდენტებს აქვთ აპელაციის უფლება და წვდომა განმეორებით შეფასებაზე. შეფასებასთან დაკავშირებული ყველა მტკიცებულება საიმედოდ ინახება 3 წლის ვადით, ხოლო უწყისები – მუდმივად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ხათუნა ჩხარტიშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტ შორენა ხუბუნაიას იმ სტუდენტების შესახებ, რომლებმაც უარი თქვეს სწავლის გაგრძელებაზე. კერძოდ, ინტერესი გამოიწვია იმ გარემოებამ, თუ რამდენად იყო განპირობებული სტუდენტთა ეს გადაწყვეტილება კონკრეტული მასწავლებლების ფაქტორით. შორენა ხუბუნაიამ განმარტა, რომ სტატუსის შეჩერების მსურველთა უმრავლესობა ფარმაციისა და საექთნო პროგრამების სტუდენტები იყვნენ. ექსპერტმა აღნიშნა, რომ აღნიშნული პროგრამების ხელმძღვანელებსა და ძირითად მასწავლებლებს სტუდენტებზე დიდი გავლენა ჰქონდათ. სტუდენტთა პოზიცია ეფუძნებოდა მოსაზრებას, რომ ამ კონკრეტული პერსონალის გარეშე სასწავლო პროცესი ვერ გაგრძელდებოდა. გარდა ამისა, გამოიკვეთა სტუდენტების ინფორმირებულობის დაბალი დონე

- მათ ეგონათ, რომ დაწესებულებასა და პერსონალს შორის არსებული კონფლიქტის გამო სტუდენტის სტატუსი ავტომატურად შეუჩერდებოდათ. ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია სტუდენტებთან კომუნიკაციის გაუმჯობესების თაობაზე.

დაწესებულების დირექტორმა, ლევან ტაკიძემ, დააზუსტა სტატუსშეჩერებული სტუდენტების რაოდენობრივი მაჩვენებლები. მისი ინფორმაციით, სტატუსის შეჩერების შესახებ განცხადება სულ 91-მა სტუდენტმა დაწერა; არსებული მდგომარეობით, 4-მა სტუდენტმა უკვე აღიდგინა სტატუსი, ხოლო ერთმა პირმა უარი თქვა მობილობაზე და განაგრძო სწავლა კოლეჯში; გამოვლინდა ფაქტები, როდესაც სტუდენტთა განცხადებები იდენტური ტექსტითა და ხელწერით იყო შესრულებული, რაც აჩენს ეჭვს პროცესის ხელოვნურად მართვის თაობაზე.

საბჭოს მდივანმა, ნათია ბუთხუზმა, ექსპერტს სთხოვა შეეფასებინა დაწესებულების რეალური მზაობა რეკომენდაციების შესრულებისა და სტანდარტებთან შესაბამისობის მიღწევის კუთხით. შორენა ხუბუნაიამ ობიექტურ გარემოებებზე დაყრდნობით განაცხადა, რომ დაწესებულებას ჰყავს ახალი, მაღალკომპეტენტური ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელი პირი. მის მიერ შემუშავებული მარეგულირებელი აქტები (პერსონალის მართვა, შეფასების სისტემა, ვერიფიკაციის მექანიზმები) სრულად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტებს. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ მიუხედავად ადმინისტრაციული პერსონალის ნაწილის წასვლისა („ბუნტი“), კოლეჯს ჰყავს კვალიფიციური პროგრამის ხელმძღვანელები და მასწავლებლები. ექსპერტმა ხაზი გაუსვა სასწავლო პროცესის მენეჯერის კომპეტენციასაც. დაწესებულებას შემუშავებული აქვს 3-დან 6 თვემდე ვადაზე გათვლილი გეგმა, რაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც რეალისტური. ექსპერტის თქმით, დაწესებულებას გააჩნია როგორც ადამიანური, ისე სტრუქტურული რესურსი, რათა ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის მეშვეობით სრულად აღმოფხვრას არსებული ხარვეზები და გააგრძელოს ფუნქციონირება.

საბჭოს წევრმა, გოჩა გოგიტიძემ, გამოთქვა ინტერესი სტუდენტთა დასწრების, აკადემიური აქტივობისა და საჩივრის ავტორებთან გასაუბრების შედეგების შესახებ. მან იკითხა, თუ რამდენად მოხდა იმ პირთა პოზიციების მოსმენა, ვინც უშუალოდ დაწერა საჩივარი.

შორენა ხუბუნაიამ განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გამოკითხა სტატუსშეჩერებული 76 სტუდენტიდან 22 პირი. ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: სტუდენტებს არ დაუფიქსირებიათ პრეტენზია ლექციების გაცდენის, მასწავლებელთა კომპეტენციის ან მატერიალური რესურსების ნაკლებობის შესახებ; დაფიქსირდა მხოლოდ ერთი შენიშვნა გათბობასთან დაკავშირებით, რომელიც დაწესებულებამ მყისიერად აღმოფხვრა. ექსპერტებმა შეისწავლეს სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტები და უწყისები (მათ შორის საექთნო განათლების პროგრამაზე), სადაც ასახული იყო როგორც დადებითი შეფასებები, ისე არგამოცხადებისა და განმეორებითი შეფასების ფაქტები, რაც ადასტურებს პროცესის რეალურობას.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ ფარმაციის პროგრამაზე სტუდენტთა გამოუცხადებლობა განპირობებული იყო მათი მცდარი წარმოდგენით, თითქოს განცხადების დაწერისთანავე მათი სტატუსი უკვე შეჩერებული იყო. რაც შეეხება სწრებადობის აღრიცხვას, ექსპერტმა განმარტა, რომ ხარისხის მენეჯერის ინიციატივით დაინერგა მატერიალური ჟურნალები. ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა მასწავლებელთა პირადი ჩანაწერები და ჟურნალები, სადაც დაფიქსირდა სტუდენტთა საშუალო დასწრება, რაც საკმარისი იყო სასწავლო პროცესის სრულფასოვანი წარმართვისათვის. პრაქტიკის ობიექტებზე ვიზიტისას კი დადასტურდა სტუდენტთა და ინსტრუქტორთა აქტიური ჩართულობა.

ექსპერტმა ასევე ხაზი გაუსვა, რომ დაწესებულების კომპიუტერულ სისტემაში მოძიებულ იქნა 2024-2025 წლების კმაყოფილების კვლევის შედეგები (Google Forms), სადაც სტუდენტთა და პერსონალის კმაყოფილების მაჩვენებელი 70-80%-ს შეადგენდა. კვლევებში არ ფიქსირდებოდა რაიმე არსებითი ნეგატიური კომენტარი, გარდა ერთი ბუნდოვანი ჩანაწერისა „არადამაკმაყოფილებელი ვითარების“ შესახებ, რისი კონკრეტული შინაარსიც ვერ დაზუსტდა.

გოჩა გოგიტიძის კითხვაზე საჩივრის ავტორებთან დაკავშირებით, ექსპერტმა განმარტა, რომ ექსპერტთა ვიზიტი დაიწყო სწორედ საჩივრის ავტორებთან შეხვედრით. ვიზიტის

მიმდინარეობისას საქმისწარმოების სპეციალისტმა დაწერა განცხადება წასვლის შესახებ იმ მოტივით, რომ დირექტორმა დაავალა ისეთი დავალების შესრულება, რასაც არ შევასრულებდიო (ჟურნალების შევსება). ექსპერტებმა მყისიერად გამოითხოვეს აღნიშნული ჟურნალები და დაადგინეს, რომ მათში ცარიელი გრაფები ან ხელოვნური ჩანაწერების საჭიროება არ არსებობდა. ექსპერტის შეფასებით, ხანგრძლივი გასაუბრებების მიუხედავად, საჩივრის ავტორებმა ვერ წარმოადგინეს ვერცერთი ობიექტური და ხელმოსაჭიდი გარემოება, რომელიც გაამართლებდა დაწესებულებაში შექმნილ ესკალაციას. პრობლემები მეტწილად სუბიექტურ ხასიათს ატარებდა (მაგალითად, უკმაყოფილება სამუშაო მაგიდის ფორმის ან ახალი კადრების აყვანის გამო).

საბჭოს წევრმა, ეკატერინე გიგაშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულების ხელმძღვანელს პერსონალის მართვის პოლიტიკასთან დაკავშირებით. მან ხაზი გაუსვა წარმოდგენილი 6-თვიანი გეგმის ქმედითობისა და იმ პრევენციული მექანიზმების მნიშვნელობას, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ კოლეჯის სტაბილური ფუნქციონირება და თავიდან აიცილონ წარსულში დაფიქსირებული ჩავარდნები (მათ შორის, სტუდენტთა დიდი რაოდენობით გადინება).

კოლეჯის დირექტორმა, ლევან ტაკიძემ, განმარტა, რომ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა უკვე ფუნდამენტურად შეიცვალა და განახლდა შინაგანაწესი და საქმისწარმოების წესი; დაინიშნენ ახალი კადრები საკვანძო პოზიციებზე: საქმისმწარმოებელი (რომელიც გადის სპეციალურ მომზადებას), სტუდენტური სერვისების მენეჯერი და სასწავლო პროცესის მენეჯერი; ადმინისტრაციული პრობლემების 80% უკვე გადაჭრილია, რადგან დაწესებულებამ შეძლო სასწავლო პროცესის უწყვეტობის შენარჩუნება კრიზისულ პერიოდშიც კი; დაინერგა ხარისხის მართვისა და კონტროლის ახალი სისტემა, რომელიც ეფუძნება დემინგის ციკლს (PDCA). მართვის სტილი გადავიდა ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობებიდან ფორმალურ, წერილობით დასტურსა და მკაცრ ანგარიშვალდებულებაზე. დეტალურად განისაზღვრა პერსონალის ჩანაცვლებისა და ფუნქცია-მოვალეობების დელეგირების წესი.

ეკატერინე გიგაშვილის კითხვაზე კონფლიქტების მართვისა და პრევენციის სტრატეგიის შესახებ, ლევან ტაკიძემ აღნიშნა, რომ ნებისმიერი მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული გადაწყვეტილება მიიღება სპეციალური კომისიებისა და კოლეგიური ორგანოების მიერ (იურისტის, ხარისხის სპეციალისტისა და სხვა პროფესიონალების ჩართულობით), რაც გამორიცხავს სუბიექტურ მიდგომებსა და პერსონალურ წყენებზე დაფუძნებულ ქმედებებს. მისი თქმით, მთავარ პრიორიტეტად განისაზღვრა გუნდურობა და კოლეგიალობა, სადაც თითოეული თანამშრომელი აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას საერთო საქმის წინაშე. მიზანია ჩამოყალიბდეს გარემო, სადაც ინდივიდუალური შეცდომა აღქმულია როგორც მთლიანი ორგანიზაციისათვის ზიანის მომტანი ფაქტორი. კოლეჯის დირექტორმა გამოხატა მზაობა, რომ ახალი, პროფესიონალური გუნდის მეშვეობით დაწესებულება სრულად უპასუხებს არსებულ გამოწვევებს და უზრუნველყოფს სტანდარტების შესაბამის ხარისხს.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, ყურადღება გაამახვილა მეოთხე სტანდარტის 4.1.2.3 ინდიკატორზე, რომელიც ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებული იყო როგორც „არ არის შესაბამისობაში“ ბიბლიოთეკარის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული ფორმალური ხარვეზის გამო. თავმჯდომარემ წამოაყენა წინადადება, რომ საბჭომ გამოიყენოს თავისი დისკრეციული უფლებამოსილება და შეცვალოს ექსპერტის ტექნიკური შეფასება. არგუმენტად აღინიშნა, რომ დაწესებულებაში ბიბლიოთეკის მომსახურება სრულფასოვნად ხორციელდება და ხარვეზი ატარებს მხოლოდ ფორმალურ ხასიათს.

ყველა დამსწრე საბჭოს წევრი დაეთანხმა აღნიშნულს და აღნიშნული ინდიკატორი მეოთხე სტანდარტის ჭრილში შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისი“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ნიუ მეჯიქში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ნიუ მეჯიქში (ს/კ:405107619) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს სრული მონიტორინგი შპს „ნიუ მეჯიქში“. მონიტორინგის ვადად განისაზღვროს 2026 წლის 22 სექტემბერი, მონიტორინგის ფორმა - ადგილზე ვიზიტი.

შუამდგომლობა საბჭოს სხდომაზე წარადგინა, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა. მან საბჭოს წევრებს შეახსენა საქმის გარემოებები და აღნიშნა, რომ ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებით, სსიპ კოლეჯ გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს განესაზღვრა მონიტორინგი 5.1 კომპონენტთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფის პირვანდელი შეფასებით, დაწესებულებას არ გააჩნდა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დადებითი დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ და უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის თაობაზე. მონიტორინგის ფორმად განსაზღვრული იყო დოკუმენტაციის გამოთხოვა, ხოლო ვადად – 2026 წლის 2 აპრილი. დადგენილ ვადაში, კერძოდ, 2026 წლის 16 აპრილს, კოლეჯმა ცენტრში წარადგინა ოფიციალური წერილი (№443055), რომელსაც თან ერთვოდა შესაბამის ორგანიზაციასთან შეთანხმებული სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა; და უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დადებითი დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ.
პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებამ აღმოფხვრა ხარვეზები. შესაბამისად, სტანდარტის „მეტწილი შესაბამისობა“ შეიცვალა „სრულ შესაბამისობით“. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური საბჭოს მომართავს შუამდგომლობით სსიპ კოლეჯ გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში საბჭოს მიერ ჩანიშნული მონიტორინგის დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორის სამსახურებრივი ბარათის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა

და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ კოლეჯ გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში (ს/კ: 200279448) საბჭოს მიერ ჩანიშნულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 14:10 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
კაკაბაძე ელენე



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბუთხუზი ნათია